**ოქმი №8**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2024 წლის 8 ნოემბერს.

**სხდომა დაიწყო** 12:00 საათზე, დამთავრდა 12:30 საათზე.

**სხდომას ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: ბ. კალანდარიშვილი, ლ. უჩანეიშვილი, ზ. ნაჭყებია, ლ. ჯინორია, ბ. შარტავა.

**ასევე ესწრებოდნენ:** სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - დ. ალანია

**სხდომას თავმჯდომარეობდა** კომისიის თავმჯდომარე – ბადრი კალანდარიშვილი.

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ბ. კალანდარიშვილი
თანამომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ალანია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 6; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

**მოისმინეს:** 1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ბ. კალანდარიშვილი
თანამომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ალანია

თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განმარტებითი ბარათი – სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 6, წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი – სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე“, რათა წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: ბადრი კალანდარიშვილი